

ყოველკვირეული განახლება მთავარი ეკონომისტისგან

21 მარტი 2022


ოთარ ნადარაია
მთავარი ეკონომისტი,
თიბისი ჯგუფი

ანა მჟავანაძე
უფროსი მაკრო-ფინანსური ანალიზის
განყოფილება, თიბისი ბანკი

ცოტნე მარღია
ანალიტიკოსი,
თიბის ბანკი


პირველ რიგში, კვლავ მწუხარებას გამოვხატავთ, განსაკუთრებით გაზრდილი მშვიდობიანი მოსახლეობის მსხვერპლის გამო. თავისთავად, ყველაზე მნიშვნელოვანი ეს არის და იმედი გვაქვს, რომ მშვიდობა მალე აღდგება. მართლაც, მიმდინარე მოლაპარაკებების ფონზე საერთაშორისო ბაზრებზე ოპტიმიზმმა შედარებით მოიმატა. კერძოდ, ჩვენი აზრით, მართალია კვირის ბოლოს გარკვეული გაუარესებით, ეს მიმდინარე სიტუაციაში სამ ყველაზე მნიშვნელოვან ინდიკატორზე აისახა, რომლებიცაა რუბლის კურსი და ნავთობისა და ოქროს ფასები. ასევე, რეგიონის სახელწიფო ობლიგაციებზე რისკის პრემია მნიშვნელოვნად შემცირდა.

შარეული საბაზრო ინდიკატორები (ინდექსი, 1-თებ-2022=100, 18-მარტის მდგომარეობით)




წყარო: ბლუმბერგი

საკრედიტო დეფოლტის სკოპის სრაი (17 მარტის მდგომარეობით)




წყარო: ბლუმბერგი

რეგიონის აშშ დოლარის ევროზონდებსა და აშშ-ის 10 წლიანი სასაზიფო ფასიანი ქაღალდების განაკვეთებს შორის სხვაობა (კპ, 18-მარ-22-ის მდგომარეობით)



წყარო: ბლუმბერგი

რეგიონის აშშ დოლარის ევროზონდებსა და აშშ-ის 10 წლიანი სასაზიფო ფასიანი ქაღალდების განაკვეთებს შორის სხვაობა (კპ, 18-მარ-22-ის მდგომარეობით)




წყარო: ბლუმბერგი

ადგილობრივი მაჩვენებლების მხრივ, მიმდინარე რეალობის გათვალისწინებით, ასევე შედარებით პოზიტიური დინამიკა დაფიქსირდა. კერძოდ, ფულადი გზავნილების შემოდინება მარტში მნიშვნელოვან მდგრადობას ინარჩუნებს. მართალია ჯერ სრული 2022 წლისათვის დასკვნების გაკეთება ადრეა, თუმცა აშშ დოლარში გამოხატული გზავნილების წინა წელთან შედარებით მცირედით, მაგრამ მაინც მატებას არ გამოვრიცხავთ. უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ მოლოდინების შესაბამისად, ტურიზმის აღდგენის ტემპმა თებერვლის ბოლოსა და მარტში იკლო, ძირითადად რუსეთიდან და ბელორუსიდან ვიზიტორების ზრდა მნიშვნელოვანი დამბალანსებელი ფაქტორია. ჩვენი სადღეისოდ არსებული შეფასებით, ამ გზით მიღებული განლიურებული შემოსავალი დაახლოებით 200 მილიონი დოლარი შეიძლება იყოს. ამ მხრივ, [უძრავი ქონების ბაზარზე გაზრდილი აქტივობაც](#) საყურადღებოა, თუმცა მთლიანობაში საპროგნოზო რაოდენობრივი შეფასება ჯერ კიდევ არაერთ დაშვებაზეა დამოკიდებული.

ძირითად მაკროეკონომიკურ პროგნოზებს რაც შეეხება, კვლავ მაღალი გაურკვევლობის გათვალისწინებით, მაგრამ მაინც შეიძლება ითქვას, რომ მოლოდინები უფრო [სწრაფი, ვიდრე გადადებული გადაწყვეტის სცენართან](#) არის ახლოს. ასევე, წინა კვირისაგან განსხვავებით, სადღეისოდ ვფიქრობთ, რომ ლარის გამყარების ალბათობა გაუფასურებასთან შედარებით მეტია.


გასულ კვირაში, ასევე ხელმისაწვდომი იყო საქსტატის მიერ გამოქვეყნებული თებერვლის საქონლით საგარეო ვაჭრობისა და წინა წლის მეოთხე კვარტალის ხელფასების მაჩვენებლები, რომლებიც უკრაინაში საომარ მოქმედებებამდე საკმაოდ მაღალ ეკონომიკურ აქტივობაზე მიუთითებდა.

მთლიანი გზავნილების შემოსულობა თიბისი არხებით (7-დღის მსოცავი საშუალო, წ/წ, %, 18-მარტი)




წყარო: თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

გზავნილების შემოსულობა რუსეთიდან თიბისი არხებით (7-დღის მსოცავი საშუალო, წ/წ, %, 18-მარტი)




წყარო, თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი

შემოსავლები ტურიზმიდან (აშშ დოლარი, 2019 წლის შესაბამისი ტვი = 100)




წყარო: სებ, თიბისი ბანკი, თიბისი კაპიტალი
შენიშვნა: თიბისისა და სებ-ის მონაცემების დინამიკა შეიძლება განსხვავდებოდეს ტურისტულ დანახარებებში ცვალებადი უნაღლო ტრანზაქციების წილის გამო და ასევე თიბისის საბაზრო წილის გამო. მიგრაციის ეფექტი შეფასებულია თიბისის არხებით სხვადასხვა საბარათე ტრანზაქციების ანალიზის საფუძველზე.

ქვეყნის მდგომარეობა (აშშ დოლარში, %)




წყარო: საქსტატი

იშვითობის მდგომარეობა (აშშ დოლარში, %)




წყარო: საქსტატი

გადახდები (აშშ დოლარში, %)




წყარო: სებ

გადახდები ქვეყნის მიხედვით (აშშ დოლარში)




წყარო: სებ

შემოსავლები ტერიტორიიდან ქვეყნის მიხედვით (აშშ დოლარში, 2019-ის შესაბამისი ტეხ=100)




წყარო: სებ

შემოსავლები ტერიტორიიდან: ზრდის წყარო (აშშ დოლარში, 2019 წელთან შედარებით, %)




წყარო: სებ

**შარული სავალუთო ნაკადები
(მლნ აშშ დოლარი, მ/თ)**




შენიშვნა: იმპორტისთვის უარყოფითი რიცხვები ნიშნავს ზრდას
წყარო: საქსტატი, სებ, თიბისი კაპიტალი

ნომინალური და რეალური ხელფასები (წ/წ, %)



წყარო: საქსტატი

**დასაქმების, რეალური მშპ-ისა და ხელფასის
დინამიკა (% 2019-ის იმავე პერიოდთან
შედარებით)**



წყარო: საქსტატი, თიბისი კაპიტალი

მიმდინარე კვირის ანონსი:

- მარ 21 – საგარეო ვაჭრობის დეტალური მონაცემები, 2022 წლის თებერვალი;
- მარ 21 – მთლიანი შიდა პროდუქტი და ეროვნული ანგარიშების სხვა მაჩვენებლები, 2022 წლის IV კვარტალი, წინასწარი;
- მარ 21 – მწარმოებელთა ფასების ინდექსი, 2021 წლის თებერვალი;
- მარ 25 – სესხებისა და დეპოზიტების დეტალური სტატისტიკა, 2022 წლის თებერვალი.



თიბისი კაპიტალი